ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ.

№ 44.

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ 4 ᲛᲐᲜ.

წელიწადი მეხუთე.

ᲥᲝᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲙᲕᲘᲠᲐ, 16 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1912 ᲬᲔᲚᲘ

ᲨᲘᲐᲐᲠᲡᲘ: 1. - სიტყვა კოსტანტინეპოლის პატრიარქის იოაკიმე მესამეს გარდაცვალების გამო—ეპისკოპოს ლეონიდისა; 2. ქრისტიანობა და პროგრესი—მღ. იოანე ლუკიანოვისა; 3. რას ჩამაცივდი, თათარო, —რ.საჯავახოელისა; 4. საყურადღებო ცირკულიარები; 5.პასუხი მოკეთეს—მღ. თ. დუგლაძესი. 6. კრიტიკული შენიშვნები—ხომლელისა; 7. მოწერილი ამბები ა)ᲮᲝᲗ. კორბოული—სტუმრის.—ბ) ს. თხილთაწყარო,—ნაპერწკალისა. 8) წერილები რედაქციის მიმართ—ა) აბონ დონდოლაძესი, ბ) მღ. პორფილე კავილაძესი, გ) მღ. იასონ აბესაძესი; 9. მადლობის გამოცხადება მღ. ტარასი ძიგრაშვილისა;

სიტყვა

კოსტანტინეპოლის უნეტარესის პატრიარქის იოაკიმე მესამეს გარდაცვალების გამო.

> მოკვდა სამოელ, და შეკრბა ყოველი ისრაელი, და ტიროდეს მას. (ა. მეფ. 25. [1])

ასე აგვიწერს მეფეთა წიგნი ებრაელთა საერთო გლოვას სახელოვანი წინასწარმეტყველის სამოელის სიკვდილის გამო. კუბოს რომ მიცვალებულის სახლში შეჰქონდა და ყოველთვის შეაქვს მწუხარება, გლოვა, ტირილი, კვნესა და გმინვა, ეს ყველამაც ვიცით და ყველას გვინახავს კიდეც. მაგრამ კუბოს რომ თავის გარშემო შემოეკრიბოს ერის ყველა შვი-

[1]) ითქვა ბათუმის ბერძნების ეკლესიაში 24 ნოემბერს 1912 წ.

ᲥᲝᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“

ᲮᲚᲝᲑᲐᲡ ᲛᲐᲬᲧᲠᲐ ᲛᲘᲗᲔᲓᲔᲑᲐ (ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ) Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲗᲣᲠᲜᲐᲯᲝ—ᲙᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲨᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ № 17). და თბილისში კამბეგიანთ სიმხის ბაზარში, სიმონიანცის შუბის მაღაზიაში. გამოდა ყოველ თვეში ოთხი ნომერი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

წლიური ფასი: 4 მანეთი. || ნახ. წლიან: 2 მანეთი. || სამ თვით: 1 მანეთი. || ერთი თვით: 2 აბაზი.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ შეწირტანა წ�lოლეს ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲝᲗᲐᲕᲘᲡ შეიძლებაᲐᲡᲔ ᲒᲐᲜᲬᲘᲚᲓᲔᲑᲘᲡ: თვეᲘᲡᲒᲐᲜ 2 მ. და 1 ᲘᲣᲜᲘᲡᲘᲡ 2 მ. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲬᲘᲜᲐ ᲛᲝᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲢᲘᲢᲔᲑᲘ ᲡᲢᲠᲝᲩᲘᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ, ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲘᲡᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ 7 Კ.

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ: ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ: „ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ.

ლები, მიცვალებულს რომ მშობელ მამასავით, საკუთარი ოჯახის საყვარელი წევრისავით თავს დასტიროდეს მთელი ერი, მთელი ნაცია, რომელსაც გარდაცვალებული ეკუთნოდა სულით და ჩაშრომაულობით, და არა მარტო ნათესავთა და შეგობართა განსაზღვრული წრე, არა მხოლოდ ნაცნობები და პატივისმცემელნი, არა მხოლოდ თანამსახურნი და მისი წოდების პირნი, ეს მეტად იშვიათი სანახავია და ასეთი ბედნიერება ხვედრი ყოფილა მხოლოდ იმ ღვთისაგან რჩეული გვამებისა, რომლებსაც თავიანთი მადლიანი მოქალაქობით უშუქებიათ მშობლიო ერისათვის, როგორც სასწაულთ მოქმედს ცეცხლის სვეტს.

ნამდვილათ ასეთი ნათელმოსილი სვეტი იყო წინასწარმეტყველი სამოელი თავისი დროის ებრაელთათვის. როგორც შვილები, ისე მთელი ერი ხელში ეპირა მას, ზნეობრივად და უკანასკნელსაც სწვრთნიდა ღვთის შიშში, როგორც პირველებს, ერის ბედნიერებას და კეთილდღეობასაც ისეთი გულსმოდგინებით ავედრებდა უფალსა, როგორც საკუთარი სახლისას, ყოველი მწუხარება, ყოველი ვარამი და გაჭირვება ერისა ამ ზომამდეც სწვდებოდა მის გულს, როგორც უმახლობელისი პირებისა, იგი განუშორებლად ატარებდა გულით მშობელი ერის ჭირსა და ლხინს და, აი, ამ გარემოებამ შექმნა ის ერის მახლობლად, ერის საყვარელ და ძვირფას პირად, ამ გარემოებამ შეადგა განუყოფელ ერთეულად მისი სიკვდილის დღეს მთელი ერი, ამან გამოიწვია მთელ ერში, თითქოს ერთი ოჯახის წევრებში, ხმამაღალი მოთქმა-ტირილი, ამ აზრის ხაზ-გასმით აღნიშვნა სურდა საღმრთო მწერალს სიტყვებით: მოკვდა სამოელ, და შეკრბა ყოველი ისრაელი, და ტიროდეს მას (ა. მეფ. 25, 1.)

მსგავსივე მეტად იშვიათი სანახაობა განუყოფელი ერის გულითადი გლოვა-ტირილისა გვეხატება თვალწინ დღესაც უნეტარესი მსოფლიო პატრიარქის იოაკიმე მესამეს გარდაგარდაცვალების გამო. აღებული შემთხვევისთვის სწორეთ ზედგამოჭრილი იქნება, რომ ვსთქვათ: „მოკვდა პატრიარქი იოაკიმ მესამე, და შეკრბა ყოველი ერი ბერძენთა, და ტირის მას“.

სტირიან უნეტარესის იოაკიმეს სიკვდილის გამო არა მარტო ბედნიერ ელლადაში მყოფნი, არა მხოლოდ კოსტანტინეპოლის სამწყსო. სტირიან ქვეყნის თვითეული ქალაქისა და დაბა-სოფლების, მსოფლიოს ყოველი კუთხის ბერძნები. ! ადაც კი ორი და სამი მოიძებება. სტირიან, არა იმის გამო, რომ საბერძნეთმა დაჰკარგა ეკლესიის თავი, ეს დანაკლისი სულ მოკლე დროში იქნება აღდგენილი, სტირიან იმას, რომ უნეტარესის პატრიარქის იოაკიმე მესამის სიკვდილმა დაუკარგა ბერძენთა ერს ღვთისაგან რჩეული პირი, რომელიც თავისი საოცარი მადლმოსილობით იკრებდა თავის გარშემო ელლინთა ნაციის ყველა შვილებს, ვითარ სახედ შეიკრიბნის მფრინველმან მართვენი თვისნი ქვეშე ფრთეთა თვისთა (მათ. 23, 37.) და ყველას ათბობდა, ყველას აცოცხლებდა, ყველას ანუგეშებდა და უალერსებდა სათუთი მშობლური სიყვარულით და მზრუნველობით.

ბერძენთა ერისადმი მხურვალე სიყვარულმა, მშობლიო ეკლესიის სახელის დიდებისათვის მოკიქულებრივმა შურმა და სამწყსოს სულიერი და მოქალაქობრივი კეთილდღეობისათვის მსხვერპლად შეწირვის თანდაყოლილმა თავგანწირულებამ ამ დიდებულ პიროვნებას ერთ დროს ბრწყინვალე პატრიარქის ტახტი გააცვლევინეს ვანდეგილ მეუდაბნოის ლარიბ სენაკზე. ჩვიდმეტი წლის განმავლობაში დაუუდგებულად მოღვაწობის დროს პატრიარქი დღე და ღამ ცრემლსა ღვრიდა და დაუძინებლად ლოცულობდა მხოლოდ იმაზე, რომ ბერძენთა ერი მთლად და უვნებლად გამოეხსნა უფალს ცხრვრების ცეცხლიდან, რომელიც ყოველი მხრიდან წაუკიდა მას ოსმალომ. ჩვიდმეტი წლის განმავლობაში არ იცოდა მან არავითარი საწოლი, გარდა ხის კუბოსი, რათა ამითი ეგრძობინებია თვითეული ბერძნისათვის რომ მათი სიმძლავრე მხოლოდ ზნეობრივ მოღვაწეობაშია, რომ ერის ძალას წარმოადგენს მარტო ზნეობის სიფაქიზე და ღვთის სიყვარულის სიდიდე.

საპატრიარქოში იწყეს ხშირ-ხშირად დაყუდებული პატრიარქის სახელის ხსენება, ათონის მთის ყუდრო კუნჭულში გამოჭრილი იოაკიმეს ბერული სენაკი განუშორებელი შეიქმნა ბერძენთა გონებისაგან, დიდებული დაყუდებულის პიროვნება იმდენად გაიზარდა და გაშუქდა საბერძნეთის ერის წარმოდგენაში, რომ, „ჰპოვა რა (ერმა) მარგარიტი ესე მრავალ სასყიდლისა, წარვიდა, და მოიყიდა იგი“ (მათ. 13, 46), ე. ი. მთელი ერი დასდგა დიდებული პირის წინაშე მუხლის თავებზე და ცრემლით შეევედრა მას მიეღო ხელახლად პატრიარქობა.

მუდამ ღვთის ნების მიმყოლმა, მსგავსად სამუელისა, ნეტარმა იოაკიმემ ხმა ერისა სცნო ღვთის ხმად, დაუყონებლივ დასტოვა მყუდრო სენაკი, კიდევ დაუბრუნდა პატრიარქობას, ხელახლად დაჯდა სულიერ მსაჯულად ბერძნების ერისა. ამ დღიდგან მოკიდებული სიკვდილამდე მის სათხოვარ-სალოცავ საგნად ღვთისადმი გახდა მხოლოდ ის, რომ ცისა და ქვეყნის მეუფეს ეცოდინებინა მისთვის ნამდვილი საღსარი მორწმუნე საბერძნეთის გამოხსნისა ოსმალთა ხელქვეითობისაგან. ერის მოსიყვარულე მამის გულში ჩაისახა და გაეწყო ის ერთობა საბერძნეთისა და ბალკანეთის სლავიანთა შორის, რომელიც დღეს იპყრობს მთელი გიხათლებული კაცობრიობის ყურადღებას და რომლის შედეგებიც ასე სასიამოვნოდ უძგერებს გულს ყოველ ბერძენს.

იხილა რა, უნეტარესმა იოაკიმემ, მსგავსად მართალი სვიმეონ ღვთის მიმრქმელისა, დასაწყისი სამშობლოს ხსნისა, შესთხოვა მამასა ნათელთასა მშვიდობით განტევება ამიერ სოფლით, ისმინა უფალმა ვედრება მართლისა, მიიცვალა პატრიარქი იოაკიმე მესამე და ამან აატირა, ამან აკვნესა ამ საერო სიხარულის ჟამს ბერძენთა ერი.

იტირე ღვთისაგან კურთხეულო ერო, იტირე! საბედნიეროა შენთვის ეგ ცრემლები, მაგ გვარი ტირილი უნამდვილესი წინდია შენი სულიერი დღესასწაულობისა. სიყვარული და დაფასება ღირსეულ მწყემსთა, სიყვარული და დაფასებაა საკუთარი ერისა, საკუთარი ყოთილ-დღეობისა.

სვეტი მართლმადიდებლობისა, მამათმთავარი იოაკიმე მესამე განხორციელება იყო მამათა სარწმუნოებისადმი სიყვარულისა და განუსაზღვრელი ერთგულებისა. ასეთივე სიყვარული და ერთგულება მართლმადიდებლობისადმი დაგვიტოვა ანდერძად ყველა მის პატივისმცემლებს.

აღვავლინოთ, ძვირფასნო მსმენელნო, გულითადი ვედრებანი ღვთისადმი, რათა ახლად გარდაცვალებულის უნეტარესის პატრიარქის იოაკიმე მესამის სული დამკვიდრებულ იქმნას წიაღთა შინა აბრაამისა, ისაკისა და იაკობისა და ვთხოვოთ ღვთივ განსვენებულს მამათმთავარს, რომ იქაც, თავის ახალ საცავნეში, ისევე გულსმოდგინებით ავედროს ყოველისამპყრობელს ზეციერ მამას საბერძნეთის ბედნიერება, როგორც იგი ავედრებდა ამას აქ, ჩვენს შორის სიცოცხლის დროს! ამინ.

ეპისკოპოსი ლეონიდი

ქრისტიანობა და პროგრესი.

დასასრული.

ზნეობრივი პროგრესიც დამოკიდებულია ქრისტიანობისაგან, და მასში ჰპოვებს თავისთვის უმთავრეს ძალას.

ქრისტიანობამდის ზნეობრივი კანონის მოთხოვნილებანი ბუნდოვანათ იყო წარმოდგენილი; თვით განათლებული ადამიანები იბნეოდნენ იმის გამოცნობაში, თუ რა იყო პატიოსნური და კეთილის-მყოფელი, და ვერ შეეძლოთ დაეწესებიათ კეთილი ცხოვრების ღირსეული იდეალი. ამიტომ წარმართობაში არც კი იყო სასტიკათ გასმული გარჩევის ხაზი, სიკეთესა და ბიწიერების შუა და ხოგჯერ ღირსებათ მიაჩნდათ ისეთი საქმე, რომელიც ამცირებდა ადამიანს. ხალხმა არ იცოდა სარო წასულიყო, და არ ჰქონდა ნათლად გათვალისწინებული თავისი მიზანი. კაცი ვერ ხედავდა თავის დანიშნულებას, და გარეგანი ბედნიერება და სიკეთე მიაჩნდა უკანასკნელ სა-

ზღვრად თავის მისწრაფებისა. სულის მოთხოვნილებებზე დაუსრულებელ ნეტარებაზე, რომლისათვისაც დანიშნულია ადამიანი, ხალხს არ ჰქონდა ნათელი წარმოდგენა. ებრაელებს ჰქონდათ გამოცხადებული წმინდა ზნეობრივი კანონი; მაგრამ იგი იყო გაფუჭებული სხვადასხვა ადამიანების დამატებებით, და ებრაელს ესმოდა იგი ისე ვიწროდ და ხორციელად, რომ სახელმძღვანელო კანონი ჰკარგავდა მისთვის გამასულიერებელ მნიშვნელობას. ქრისტიანობის გარეშე ზნეობრივი წარმატებისათვის იყო კიდევ დამაბრკოლებელი მიზეზი,—ეს სახელდობრ უმწეობა ადამიანისა, მისი ნების და ზნეობრივი ძალების უძლურება. კაცს, თუნდაც დაენახა სიკეთე, თუნდა მიმხვდარიყო გონებით, რა მოეთხოვება მას თავის ღირსების დასაცველად,—ვერ ჰპოვებდა თავის თავში საკმარის ძალას და თავ-გამოდებას, რომ შეესრულებინა ის, რასაც სინიდისი ეუბნებოდა, და იგი ცოდვის კანონის მონობაში მყოფი, აკეთებდა არა იმ კეთილს, რომელიც უნდოდა, არამედ იმ ბოროტს, რომელიც არ უნდოდა, როგორც ეს აღიარა პავლე მოციქულმა ბუნებრივი კაცის პირით (რომ. VII, 19—20). ხალხი იყო ტყვე ცოდვისა და უსჯულოებისა. ასეთ გარემოებათა გამო ძველი ხალხების და სამეფოების ისტორია სრულიადაც არ ჰმოწმობს მათ ზნეობრივ წარმატებაზე და ამაღლებაზე, შესაფერ მათის გარეგანის ზრდისა და დიდი ხნის ცხოვრებისა. პირიქით, რაკი გაიმართება წელში რომელიმე ხალხი და დაიპერს თავის ადგილს ისტორიაში, მაშინვე იწყება მისი ზნეობრივი გახრწნა და შინაგანი სიდამპლე უჩნდება. ძველი ხანის დასრულებისას, ქრისტიანობის გამოცხადების წინ და პირველი მის გავრცელების დროს, როდესაც ბერძენ-რომაელთა ცივილიზაციას თავისი წარმატებით ამაყად თავი მოჰქონდა, ჩვენ ვხედავთ ისტორიაში მეტის-მეტ ზნეობრივს დაცემას. პავლე მოციქული რომაელთა ეპისტოლეში გვიხატავს სამწუხარო სურათს, რომელსაც წარმოადგენდა კაცობრიობა, ნაელელი დიდი-ხნისა წარმართების ცივილიზაციის გზით. მასში შეგროვილიყო ყოველივე ბიწიერებანი, რომლებიც წარმოადგენდნენ ცივილიზაციურ საზოგადოებას ზნეობის მხრივ დამწიფებულს საშინელ მუწუკად: ხორციელი ვნებანი აიძულებდნენ ადამიანს არ დაკმაყოფილებულიყო ბუნებრივი საშუალებით, არამედ ბუნების წინააღმდეგი საშუალებებით კმაყოფილდებოდა (რომაელ. 1, 24—32). და კაცი, მონა ამ ვნებათა, მოციქულის სიტყვისამებრ, იქმოდა „უჯეროსა საქმესა (რომ 1, 28), და არა რცხვენოდა. როდესაც პირუთვნელ ისტორიას უნდა დაახასიათოს წარმართი საზოგადოება რომის იმპერიის დროებისა, ან ქრისტიანობის გავრცელების პირველ დროისა,—იგი გვაუწყებს ჩვენ ისეთ ზნეობრივად დაცემულ პირებს, რომლებიც მივიდნენ გარყვნილობაში უკანასკნელ საზღვრებამდის, და ეს პირები დიდ თანამდებობისანი იყვნენ; რა თქმა უნდა, არც დანარჩენი საზოგადოება ჩამოუარდებოდა იმათ გარყვნილებაში. მაგრამ აი გამოცხადდა ქრისტიანობა, რომელმაც ახსნა ზნეობრივი კანონის მოთხოვნილებანი. ეხლა ცხადი შეიქმნა, საით უნდა მიისწრაფებოდეს ადამიანი. სახარების კანონის მაღალ მოთხოვნილებების შესასრულებლად, ადამიანის მიზნის მისაღწევად, ქრისტიანობისაგან მიცემული აქვს კაცს საღმრთო მადლი, რომლითაც მას შეუძლიან ამაღლდეს ისეთ ზნეობრივ სრულყოფამდის, რომელიც მიუწდომელი იყო წარმართი ადამიანისთვის. როდესაც გამოცხადდა ქრისტიანობა, მაშინვე გამოსჩნდა ისეთი ზნეობრივი აღმაფრენა, როგორიც ქვეყანას ჯერ არ ენახა, და რომლის გაგებაც არ შეეძლო წარმართ ქვეყანას; და ეს ზეფრენა არ იყო წარმავალი მოვლენა; იქიდგან შესდგა მუდმივი მოძრაობა, რომელიც მოდის მთელი საუკუნოების განმავლობაში და აძლევს ადამიანს სულის გამარჯვებაა ქვეყნიერობაზედ, ვნებებზე, ბიწიერებაზე. მთელი წყებები მოწამეთა და აღმსარებელთა, რომელთა სიმტკიცის ძლევა ვერ შეეძლო შეერთებულს ძალებს ქვეყნისას და ჯოჯოხეთისას და რომლებიც ყველაფერს, თვით სიცოცხლესაც, მსხვერპლად სწირავდნენ სარწმუნოებისთვის და წმინდა რწმენისთვის,

მრავალნი მოღვაწენი, რომლებიც უარს ამბობდნენ ცხოვრების სიამოვნებაზე და მიდიოდნენ მყუდრო უდაბნოებში, რომ იქ მარტოობაში მიეხწიათ კაცისათვის მისაწთომ ღვთის მსგავსებას, და რომლებიც თავიანთი ღვაწლით აკვირვებდნენ არამც თუ ხალხს, არამედ ანგელოზებსაც, უთვალავი სიმრავლე წმინდანებისა, რომელთაც განახორციელეს სული სახარების სიწმინდისა, უბოროტობისა და თავდადებული სიყვარულისა,—ყველა ესენი მოწმობენ ზნეობრივი ცხოვრების განახლებას და განმტკიცებას ქრისტიანობის გავლენით. მით უფრო შესანიშნავია ეს მოწმობა, რომ ადამიანები, რომლებიც მისწვდნენ ქრისტიანობაში მაღალ სიწმინდეს, გამოდიოდნენ იმ საზოგადოებიდგან, რომელიც ზნეობრივათ დაცემული იყო, და წარმოადგენდა წარმართობაში გახრწნილ უსულო გვამს. სიმაღლე სრულ-ყოფისა, რომელზედაც ადიოდნენ ისინი, წარმოუდგენელი იყო წარმართობაში. იქ არ იყო წმინდანები, რომ ღმერთს მისმსგავსებოდნენ, არამედ იყვნენ მხოლოდ პატიოსანი და კეთილი ადამიანები. შესანიშნავია აგრეთვე, რომ ქრისტიანები ისე ადვილად ვერ ეძლეოდენ ზნეობრივ გაფუჭებას, როგორც ძველად წარმართი ხალხები.

ვნახეთ ჩვენ ისტორიაში მაგალითები პროგრესისა, რომელიც სრულიად განდგომილია ქრისტიანობისაგან, მაგრამ ეს მაგალითები გადაჭრით ამბობენ, რომ უქრისტიანობოდ და ქრისტიანობის გარეთ არ არის ჭეშმარიტი და ზნეობრივი პროგრესი მოიგონეთ ხანები პირველი საფრანგეთის რევოლიუციისა და პარიკის კომმუნისა. ამ დროების მოქმედნი გაეყარნენ ქრისტიანობას და სიჩქარით გაექანენ წინ. მაგრამ ისინი აკეთებდნენ დანგრევის საქმეს და არა აღშენებისას: ისინი ყველაფერს ეჭმუსრავდნენ, ემუქრებოდნენ მოსპობას ადამიანის საღმრთო ინტერესებს, უნდოდათ ყველაფერი სისხლის ნიაღვრით მოერწყოთ. ამ ადამიანების ბატონობა რომ გაგრძელებულიყო, ხალხის საზოგადოებას დაღუპვა ელოდა და დაჭკორგამდა შეგნებას თავის ადამიანურის ღირსებისას. ქრისტიანობის გარეშე ისევე შეუძლებელია საზოგადოების განვითარება და წინ-სვლა, როგორც შეუძლებელია სიცოცხლე ჩვენი სხეულის რომელიმე ნაწილისა, თუ იმას კავშირი გაწყვეტილი აქვს გულთან. ქრისტიანობის გარეშე ხალხის საზოგადოებას მოელის არა სიკეთე და ბედნიერება, არამედ დაღუპვა და აოხრება...

მღ. იოანე ლუკიანოვი.

რას ჩამაცივდი თათარო..

რას ჩამაცივდი, თათარო,
ძალას რომ მატან ძალზედა?
შენც კაცი ხარ და მეც კაცი—
სულდგმული ქვეყანაზედა.

— —

რათ გსურს პირუტყვათ მაქციო,
უენოთ, უსულგულოთა,
გულში ჩამიკლა ფიქრები,
მომსპობი სასიკვდილოთა....

— —

მე საკუთარი ჰანგი მაქვს,
იგი უყვარდა მამასა,
მამა-პაპათა ზნე-წესით
ვერ მოვცილდები ამასა.

— —

ჩემია, ჩემს ბუნებასთან
შენასისხლ-შენახორცები,
დამატკბობელი ყურისა,
და სასოების მომცემი.

— —

ეგ ჰიმნი არის სალბუნი
დაავადებულ სულისა,
ზეცად გონების აღმტაცი,
განმკურნებელი წყლულისა.

— —

ღმერთი, რჯული და სინდისი—
არას ვაშავებ ცხადია.
ქართველი ვარ და ქართულათ
ღვთისადმი ლოცვა მწადია.

— —

შენ კი მებაქიბუქები:
ვიცი მაგ შენი ფანდიო...

მაგ ჰიმნის ნაცვლათ იმღერე
სპარსული ბაიათიო!!

——

დიდება შენდა, უფალო!
რარჯული სამართალია?
ქართველისაგან—ქართული
სპარსულში გასაცვალია?!

რ. საჯავახელი.

მარტი 4.
1912 წ.

საყურადღებო ცირკულიარები იმერეთის ეპისკოპოსის გიორგისა.

1

ქართლ-იმერეთის სინოდის კონტორა თავის ერთ ერთ უკანასკნელ ბძანებაში სხვათა შორის ყურადღებას აქცევს კლიროვის უწყებების უკანონო წარმოებას ერთ საბლალრჩინოში, რომელშიდაც (უწყებებში) უკიდურესობამდე ცრუ ცნობებია მოყვანილი; იქიდამ სჩანს, რომ მღვდელი, რომელიც დაბადებულა 1851 წლის პირველ აგვისტოს საქმის მწარმოებლად ყოფილა 1860-ში, როცა იგი 9 წლის ყოფილა, დიაკვნათ და ღვდლათ უკურთხებიათ 1864 წ. როცა 13 წელიწადი შესრულებია, რაც ყოვლად წარმოუდგენელია და შეუძლებელი და რაც აიხსნება უთუოდ იმ გარემოებით, რომ მღვდელს სურდა თავის წლოვანება შეემცირებია, რომ მოხუცებულობის გამო შტატ გარეთ არ დაეთხოვათ. გაცნობებთ რა ამას წინადადებთ, რომ რწმუნებულ თქვენდამი ოლქის სამღვდელოებამ მკაცრი ყურადღება მიაქციოს კლიროვის უწყებების სისწორით წარმოებას, წინაალმდეგ შემთხვევაში სასტიკ პასუხის გებაში მიეცემიან. ამასთანავე განვმარტავ, რომ თითეულ კრებულის წევრის ნამსახურობით სიაში მოთავსებული უნდა იყოს ზედმიწევნით სწორი და უტყუარი ცნობები სათაურის თითეულ წინადადებაზე; წლოვანება კრებულის წევრთა და მათი ოჯახობისა (ცოლისა და შვილების) ამოწერილი უნდა იქნეს მეტრიკიდან, ხოლო ვინც მეტრიკაში არ წერია, ძველი აღსარების სიიდგან; წოდების კოლოფში (въ графѣ о званіи) უნდა ჩაიწეროს ვისი შვილი, შვილიშვილი ან შვილთა შვილია ეკლესიის მსახური—მღვდლის, დიაკვნის, თუ ერის კაცის და არა ყრუთ დაიწეროს ასე: „სასულიერო წოდების განწესება ადგილზე, გადაყვან-გადმოყვანა, დაჯილდოება და დასჯა, რაც შედის ნამსახურობის სიაში აღნიშნული უნდა იყოს მოწერილობიდან და არა ზეპირათ წლის, თვის, რიცხვის და ნომრის ჩვენებით; ცნობები მამულის შესახებ უნდა ჩაიწეროს, შეძლებისამებრ, სისწორით იმის ჩვენებით, თუ ვის რამდენი და რა გვარი ადგილმამული აქვს: სამოსახლო, საყანე, სავენახე, ტყე, სათიბი და სხ. შვილებზე ნაჩვენები უნდა იყოს ვინ სად არის და რას აკეთებს, თუ სამსახურშია სად და რამდენ ჯამაგირს ღებულობს და რომელი წყაროდან, თუ სწავლობს, სად და ვის ხარჯზე. ამასათანავე ყველაფერში იხელმძღვანელონ უწ. სინოდის 1909 წლის № 6 ბრძანებით, რომლის მიხედვით შემუშავებულია კლიროვის უწყებათათვის და ნამსახურობითი სიებისათვის ახალი ფორმის ბლანკები.

2

ძალისაგამო უწ. სინოდის უკაზისა ამა წლის 22 ნოემბრიდან № 27, მოგიწერ თქვენ დაავალოთ სამღვდელოებას კრებულნი წარადგინონ სათანადო დაწესებულებებში (სამხედრო საკრებულოებში (Воинское присутствіе) იმ პირთა სიებიც. რომელნიც დაბადებულან 1891 წლის პირველი ოკტომბრიდან 1892 წლის პირველ იანვრამდე- აქედან სჩანს, რომ ის სიები, რომლებიც აქამდის დგებოდა ყოველ წლის პირველ ოკტომბრიდან შემდეგი წლის პირველ ოკტომბრამდე. თავის თავად უნდა შედგეს და წარედგინოს სათანადო მთავრობას.

პასუხი მოკეთეს.[1]

მამაო რედაქტორო!

გიგზავნით რა ამასთანავე პასუხს იმ კორესპონდეციის წინააღმდეგ, რომელიც დაბეჭდილი იყო თქვენი გაზეთის მე 41 №-ში, ცენზურის კანონდებლობის 114 სტატიის მე 12 მუხლის ძალით, გთხოვთ ეს ჩემი პასუხი დაბეჭდოთ უცვლელად თქვენი გაზეთის შემდეგ №-ში უსათუოდ.

ბლაღოჩინი: მღვდელი თ. დუგლაძე.

გაზ. „შინაური ნაქმეების“ “მე 33 №-ში დაბეჭდილი იყო წერილი ვიღაც მოკეთისა, ამ სათაურით: „სად მიდის საფირჩხიის სასაფლაოს შემოსავალი და რად მართებს ეკლესიას ვალი“?

ჩვენ როგორც აღნიშნული სასაფლაოს გამგე სამხრუნველოს წევრმა-ხასინადარმა ამ გაზეთში დასაბეჭდად გავგზავნეთ საპასუხო წერილი სასაფლაოს შესავალ გასავლის ანგარიშით დღიდგან სასაფლაოს სასულიერო მთავრობის გამგეობაში გადასვლისა. მაგრამ რედაკტორმა მღვდელმა მჭედლიძემ ჩვენ საპასუხო წერილთან სასასფლაოს შესავალ გასავლის ანგარიში არ დაგვიბეჭდა. უფულოდ ანგარიშებს არ ვბეჭდავთო, აცხადებს რედაქტორი მჭედლიძე. ჩვენ ვფიქრობთ მღვდელმა მჭედლიძემ ან არ იცის რედაქტორობის მოვალეობა: საწინააღმდეგო წერილი სავსებით დაბეჭდა თავის გაზეთში და ჩვენ კი საშუალება არ მოგვცა საპასუხო წერილი სავსებით დავვებეჭდა და თავი გვემართლებია, ან განგებ მოქმედებს ასე პირადი ანგარიშებით. თორემ სხვა გაზეთებში განა არ იბეჭდება ამგვარი საპასუხო ანგარიშები უფულოდ?. თუ მღვდელი მჭედლიძე მისთვის ბეჭდავს თავის გაზეთში საწინააღმდეგო წერილებს, რომ საპასუხო წერილებ-ანგარიშების დაბეჭვდაში ფული აიღოს??. ეს საქციელი არ შეშვენის რედაქტორს. სჩანს მოკეთე აგენტი ყოფილა მისი: ამ გაზეთის საშუალებით ჩვენ ანგარიში მოგვთხოვა სასაფლაოს შესახებ იმ იმედით, რომ საპასუხო ანგარიშის დაბეჭვდაში რედაქტორი ჩვენგან ფულს მიიღებდა, მაგრამ რაკი ის მოსტყუვდა და რედაქტორმა მჭედლიძემ ჩვენგან ფული ვერ მიიღო ანგარიშის დაბეჭდვაში, ეხლა „მოკეთე“ ჩვენს ანგარიშს უნდობლობას უცხადებს ამავ გაზეთის მე 41 № —ში: „კარგი უქნია რედაქტორს ბლაღოჩინ დუგლაძის ცხრილი, რომ არ დაუბეჭდიაო, რომ ამ ანგარიშით ვერავის დაარწმუნებსო“: ბ. მოკეთეს მეხსიერება ხომ არ ღალატობს. ჯერ ანგარიშს ითხოვდა: სად მიდის საფ. სასაფლაოს შემოსავალი და რად მართებს ეკლესიას ვალი?; ეხლა ანგარიში აღარ სურს „არ ვერწმუნებითო“ გაიძახის „მოკეთე“ და რედაქტორის მოქმედებას იწონებს „კარგი უქნია რედაქტორს ანგარიში არ დაუბეჭდიაო.“ ამისთანა მოქმედებას ჩვენში ჯიუტობას ეძახიან. მოკეთე ანგარიშს ითხოვდა, ჩვენი ანგარიში მას არ წაუკითხავს გაზეთში, რადგან რედაქტორმა არ ინება მისი დაბეჭდა, გაიძახის კი არ ვენდობითო: სრული ნება აქვს არ გვენდოს, მარა უნდა დაგვიმტკიცოს წინააღმდეგი.

ბ. „მოკეთე“ თვის წერილში (შინაური საქმეების 41 №) განაგრძობს: ჩვენი თვალთა ხედვა არ გვატყუებს (ოღონდაც) ხახს ჩვენ უსვამთ, ამ სასაფლაოს სამი ათასი უნდა შიუდიოდეს წელიწადში (საკვირველია მეტს არ ამბობთ)... ანგარიშებს არ ვენდობით (თქვენი სიტყვები, უსაბუთოდ, ჰაერში წამოსროლილი, ვითომ ვის დაარწმუნებს).. საფლავებს ვკითხოთ, ეკლესიების საბუთებში დავითვალოთ ვინ დამარხულა ამ სასაფლაოზე და მაშინ დავინახავთ... (დიახ, მაშინ დავინახავთ, რომ თქვენ „მოკეთე“ ცრუ და უსირცხვილო ცილის მწამებელი ხართ... წერილის ბოლოს ბ. „მოკეთე ოსტატურად ათავებს „ჩვენ მაინც და მაინც ვერ ვამტკიცებთ რაიმე ბოროტებას, მარა ეჭვი გვაქვსო და თუ ბლაღოჩინი დუგლაძე ფაქტიურ რევიზიას მოითხოვს, ეჭვი აღარ მექნება და დავარწმუნდებიო“... და სხვა...

დიახ, „მოკეთეს ჩვენზე ეჭვი ჰქონია და ამისთვის გვავალებს ფაქტიური რევიზია მოვითხოვოთ. ძალიან გულ-უკვეცარილა ყოფილხართ „მოკეთე“; თქვენ შეიძლება სხვა ეჭვებიც ბევ-

[1] ვბეჭდავთ ამ წერილს სრულიად უცვლელად მთელი მისი ლიტერატურული მშვენებით თანახმად ამოწერილ სტატიებისა და ამით ვსპობთ ყოველივე საუბარს აღძრული საკითხის შესახებ; მკითხველმა თვით გამოარკვიოს სად არის სიმართლე. რედ.

რი გქონდესთ, თქვენი ნებაა, ჩვენ ამას არ გიშლით, არც გვაქვს ამის უფლება, მარა თქვენ კი არ გაქვსთ უფლება თქვენი ეჭვებით სხვას ჩირქი მოსცხოთ უსაბუთოდ. თქვენს წერილებს დაბეზღების სუნი უდის, ამას კარგად ხედავს მკითხველი. თუ ასე არ არის, თუ თქვენ სიმართლეს ემსახურებით, თუ გაქვსთ მოქალაქობრივი გამბედაობა, დაგვისახელეთ ან გაზეთში თუნდ ერთი მაგალითი მაინც ჩვენი ბოროტ-მოქმედებისა, ან რაკი თქვენ ასე იქვნეულობთ ჩვენზე და ბოროტ-მოქმედად გვთვლით, კანონიერება მოითხოვს თქვენ თითონ ითხოვთ სათანადო მთავრობის წინაშე ჩვენი რევიზია თქვენის ვინაობის გამოცხადებით იმ პირობით, რომ ვინც გამტყუნდეს ჩვენში, გარდა შესაფერი კანონიერის სასჯელისა გარდაიხადოს იმერეთის საეპარხიო სამსრუნველოს სასარგებლოდ 50 მანეთი. ხოლო თუ თქვენ ამას არ იზამთ, უსირცხვილო მაბეზღარის სახელს დაიმსახურებთ ამ გაზეთის მკითხველთა წინაშე. მარა ან კი რისი შეგრცხვებათ, როდესაც ფსედონიმის ქერქში იმილა თ თავს და იქიდან ისვრით ტალახს და მკითხველმა არ იციან პეტრე ხართ, ივანე, თუ სვიმონ იონასი.

საფირჰხიის სასაფლაოს ეკლესიის სამზრუნველოს წევრი-ხაზინადარი ბლაღოჰინი მღ. თ. დუგლაძე.

პრესიკული შენიშვნები

„გრდემლი“, სალიტერატურო კრებული. წიგნი I

„გრდემლშივე“ არის დასტამბული იასონ და რენო“, ნაწყვეტი პოემიდან „მედია და მშვენიერი ელენე“ **ა. შანშიაშვილისა**, რომელსაც ფაბრულა ძველი, კლასიკური ბერძნების გადმოცემიდან აუღია და წმინდა შოთა რუსთაველისებური ჰანგებით იმღერის. როცა ამ პოემას ავტორი სულ დაასრულებს, მე განზრახვა მაქვს ქართველს ახალგაზდა ნიჭიერს მგოსანს ვუძღვნა ვრცელი წერილი, სადაც გამოვთქვამ ჩემს აზრს, თუ რა თვისების, ხასიათის და ზომის ტალანტით არის დასაჩუქრებული ავტორი, რომელმაც ჩვენი ნორჩი ლიტერატურის პატარა ჭიქაში უკვე შუშხუნი და რაღმე ქარიშხალიც ასტეხა და ახლა კი გადავდივარ აქ პირდაპირ ბ. **ია ეკალაძის** ამბავზე: „რას ამბობენ ვერხვები...“

ია ეკალაძე სამწერლო მოედანზე პირველად გამოვიდა, თუ არა ვცდები, „ივერიის“ ფურცლებზე 1897 წელს, როცა ამ გაზეთის ხელმძღვანელად იყო ბ. გიორგი ლასხიშვილი. აქ დასტამბულ პატარა მოთხრობისთვის, საცა ავტორი სასულიერო სემინარიის ცხოვრებას ეხებოდა, იგი საქართველოდან იქნა გაძევებული და, ამგვარად ახალგაზდა მწერალი, პირველ გამოსვლისათანავე, სულ ტყვილა უბრალოდ დაისაჯა, მას აქედ მაინც მას კალამი ხელიდან არ გაუგდია და ერთგულათ ემსახურება მშობლიურ მწერლობას.

ამ შვიდი, თუ რვა წლის წინათ ავტორმა თვისი ნაწერი ერთ ტომად ცალკე წიგნადაც დასტამბა, რომლის შესახებ უნდა ვთქვა, რომ არც ერთი იმისი იქ ნაწერი ნამდვილ მხატვრულ ნაწარმოებს არ წარმოადგენს და, მაშასადამე, სერიოზულ კრიტიკის ყურადღებას ვერ მიიქცევს. ავტორს ვერსად იქ ვერ მოუცია ჩვენთვის, ვერც ხასიათები, ვერც ტიპები ხომ, რასაკვირველია. ია ეკალაძის ამბები და მოთხრობანი ცხოვრების იშვიათ ამბებს, რალაც გმირულ თავგადასავალს უფრო ეტანება და ამიტომ ისინი უფრო ზლაპრებს მოგვაგონებენ, ვიდრე ყოველ დღიური ცხოვრების ჩვეულებრივ ამბებს და მოვლინებებს.

ამას გარდა, ავტორს უყვარს მაღალი, გაბერილი, რიტორული კილო წერისა და მშრალად, მასთან განყენებულადაც მსჯელობს. ეს გარემოება, დამეთანხმებით, ძალიან მომაბეზრებელია მკითხველის სულისა და გულისთვის,

რომელიც მხატვრულ ნაწარმოებში გულის ძგერით აღელვებული ეძიებს სიცოცხლის სავსე მჩქეფარე მიმდინარეობას აზრებისას და გრძნობებისას და ამავე დროსვე ზომაზე გადუჭარბებელ მშვენიერ ფერადებს და ცხოვრების ყვავილებს, ამიტომაც, ია ეკალაძის პირველ ტომში მოქცეული ამბები და მოთხრობანი ცალიერი მშრალი, ისიც დაუმწიფებელი ჭკუის პუბლიცისტიკაა, მქადაგებლის ტემების დამუშავება და განმარტება და მეტი არაფერი...

თუმცა, რა თქმა უნდა, აგერ-ეგერ იქაც შეხვდება კაცს ლაზათიანი, მოხდენილი სურათი, ცოცხალი ნახული სცენებიც, რომელნიც საკმაო პოეტურის ნიჭით აქვს გადმოცემული ავტორს. მაგრამ, დამეთანხმებით, მარტო ეს არა კმარა, რომ ავტორს, პატივცემულს ია ეკალაძეს **ბელეტრისტის** სახელი ვუწოდო...

მაგრამ „გრდემლში“ დასტამბულმა იმისმა ამბავმა კი საოცრად გამაკვირვა. ია ეკალაძე ერთბაშად გაიზარდა, ხორც შესხმულ ცოცხალ პოეტად დადგა ჩემი თვალის წინ, ცხოვრების უბრალო ამბავი დიდის პოეტურის ტალანტით შვენივრად დახატა და ჩემი გული, ცხოვრების განსაცდელისა და ვაი-ვაგლახით მწარეთ მოკლული, გაამხიარულა, გაასპეტაკა...

ია ეკალაძეს დიდის გულწრფელობით გამოუყვანია და ცოცხლად დაუხატავს არჩილ თოთლაურის და ნანოს შეხვედრა ქალაქ გორიანაში და ამბავი დიდი დაკვირვებით მეტად ლამაზი, დახვეწილი ქართულის ენით გადმოუტანია ქალალდზე. ავტორის ნაწარმოების პირები განყენებული, უსისხლო-ხორცო პირები არ არიან, ნამდვილ ცხოვრების დულილიდან ამოგლეჯილნი დიდის მხატვრობით არიან დახატულნი და ამ ზომაზე გადაუცილებელ მხატვრობას თქვენ მიჰყავხართ დიდი ესთეტიური დატკბობის და სიამის მომგვრელს არემარეში...

„იცით, ამბობს „თემის“ რეცენზენტი. ნამდვილი ღირსება ნაწარმოებისა რაში გამოიხატება? როცა ლამაზ სიტყვათა შორის, სტრიქონსა და სტრიქონშუა უჩინრად იქსოვება რაღაცა საიდუმლო ძლიერი გრძნობა, პირდაპირ ავტორის გულიდან ამონაწიწკნი და იგი გრძნობა სევდიან სიამედ ექსოვება გარშემო შენ გულს. როცა გრძნობ, რომ ავტორი სცენაზე კი არა დგას და იქიდან კი არ კითხულობს ხელოვნურად შექნილის გრძნობით თავის სულის კვეთებას, არამედ იგი სდგას თვით ცხოვრებაში, სისხლით და ცრემლით მოსვრილ ცხოვრებაში, გარეშე მოესმის კვნესა, თითონაც ჰკვნესის, სულგამწარებული იწიწკნის გულიდან ყველაზე ძვირფას, შორს მიმწდომ გრძნობას და სისხლიანის ხელებით ლამაზად შეკონილ თაიგულად ახეთქებს თქვენ წინ. თქვენ ხედავთ, რომ ეს გრძნობა ისევ თბილია, სისხლიც ჯერ არ შემშრალა, იგი პირდაპირ მკვნესარე გულიდან არის ამონაგლეჯი; იგი თქვენი გულის ნაწილია.

„რას ამბობენ ვერხვები?“ — რა სევდიან და დაუმთავრებელ მუსიკად გაისმიან მასში ადამიანის მწარე ფიქრები!..

აქ გამოგონილი თითქმის არაფერიც არ არის: კაცის გული პირამდის აღვსილა რაღაცა განუყრელ სევდით, მდიდარის გრძნობით და ისე რაც ვერ დატეულა შიგ, გადმოდენილა ლამაზ სურათებად და შექმნილა „რას ამბობენ ვერხვები?“

ოო, რა ძვირფასი საუნჯეა მწერლისთვის გულწრფელობა!

ვკითხულობ ამ მუჭაში დასაჭერ ნოველლას და ასე მგონია მთის ანკარა წყაროს დავეწაფე მეთქი; დავეწაფე პირდაპირ კლდეებზე და არა სურაში ჩასხმულს.

გგონიათ, რომ გულს მოჰკლომია რაცხა; მკვნესარეს აუღია ოქროს კალამი ხელში, ჩაუწერია რაღაცა ათას წლოვან მწუხარებაში და შემდეგ ქაღალდზე აღმოუთქვამს თავისი გრძნობა.

ხომლელი.

შემდეგი იქნება.

მოწერილი ამბები.

სოფ. კორბოული. (ზემო იმერეთი),

სოფელი კორბოული კულტურული მხრით წინ მიდის: წვრილი კრედიტის ამხანაგობას წელს მიემატა წიგნთსაცავ - სამკითხველოს დაარსება, რომლის პასუხის მგებელ პირათ ქუთაისის გუბერნატორის მიერ დანიშნულია საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარე მღვდ. ვლადიმერ მაჭარაშვილი. სამკითხველოს გახსნის დღეთ გამოცხადებული იყო 22 ნოემბერი; ამ დღისთვის მრავალნი პირნი იყვნენ ბარათებით მოწვეულნი ბანკის შენობაში. შუადღის ხანაზე საკმაო საზოგადოებამ მოიყარა თავი და კრება გაიხსნა. კრებამ მღვდ. ვლად. მაჭარაშვილის წინადადებით ერთხმათ დაადგინა კორბოულის წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაერქვას სახელოვანი მამულიშვილის და დიდებული პედაგოგის იაკობ სვიმონისძის გოგებაშვილის სახელი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შეალია ქართველ ხალხის გათვითცნობიერებას სწავლა-აღზრდის საშუალებით. შემდეგ ბანკის შენობაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ქართველ მოღვაწეთა -დიმიტრი ყიფიანის (გარ. 25 წლ. თავი), ილია ჭავჭავაძის (დაბ. 75 წლ. თავი), იაკობ გოგებაშვილის, ალექსანდრე ხახანაშვილის, დავით სარაჯიშვილის და ნიკოლოზ ღოღობერიძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ მღ. მაჭარაშვილმა გააცნო დამსწრე საზოგადოებას ამ დიდებულ გვამთა შრომა და ღვაწლი სამშობლოს საკეთილდღეოთ. წარმოითქვა მრავალი სიტყვები; ყველა თავის სიხარულს გამოსთქვამდა ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულების დაარსების გამო. კრებამ სამკითხველოს გამგეთ აირჩია მასწავლებელი, ქ-ნი ეკატერინე ოსელიანის ასული. სამკითხველო მოთავსებულია საკრედიტო ამხანაგობის შენობაში. უსურვებთ აქაური საქმეების მეთაურებს თანხმობით და ნაყოფიერ მუშაობას.

სტუმარი.

სოფ. თხილთაწყარო. (შორაპნის მაზრა)

სოფელი თხილთაწყარო მდებარეობს ჩხარის მახლობლად, უჭირავს მაღლობი ადგილი და როგორც ჰავით და ბუნების სიმდიდრით, ისე ადგილმდებარეობით, წარმოადგენს ერთს საუკეთესო სოფელთაგანს. მგზავრის ყურადღებას იქცევს თლილი ქვისაგან აშენებული სამრეკლო, რომელიც დიდ შნს აძლევს არამც თუ მარტო თხილთაწყაროს, არამედ მახლობელ სოფლებსაც.

სოფელში არსებობს ერთკლასიანი, ორკომპლექტიანი სამრეკლო სკოლა. ოთხმოცდა შვიდი ორივე სქესის ბავშვით. თუმცა ჯერჯეობით ამ სოფელში თვალსაჩინო არა არის რა გაკეთებული ხალხის უმრავლესობის გაუნათლებლობისა გამო, მაგრამ ამ ბოლო დროს გაბედული უმცირესობის წყალობით, რომლის მეთაურად და სულის ჩამდგმელადაც სამართლიანად ითვლება ადგილობრივი მღ. მამა ექვთიმე მაჩიტაძე, ხალხი იღვიძებს. მაგალითად ამა 1912 წლის განმავლობაში ხალხმა სამჯერ დაადგინა შესაფერი განაჩენი არსებული სკოლის ორკლასიანად გადაკეთებისა და მისთვის საჭირო შენობის აგებისა. მამა ექვთიმე მაჩიტაძე ყველა ამაში, როგორც სამრეკლოს აშენებაში, რომელიც ხალხს სამი ათას მანეთამდე დაუჯდა და ეს არის მოათავეს, დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის და მალე იქნება, რომ თხილთაწყაროელებს მამა ექვთიმეს შემწეობით ექნება არამც თუ ორკლასიანი სასწავლებელი, არამედ, რამდენადაც გამიგია მ. ექვთიმეს განზრახვები, ბევრი კიდევ სხვა ხალხისთვის გამოსადეგი და ნივთიერად წელში გამმართველი დაწესებულებანი. იმედია ხალხი არ შეუშინდება მკირე

ხარჯებს ასეთი საზოგადო საქმისათვის, როროგოც სწავლა-განათლების საქმეა და აწიც ნდობით მოეკიდება თავისს გულკეთილ მოძღვარს და გაჰყვება უკან, როგორც თავისს საუკეთესო წინამძღოლს, რომელიც არავითარ დაბრკოლებას, შრომას და ხარჯს არ ერიდება, ოღონდ კი ხალხი სიბნელიდგან გამოიყვანოს და ცხოვრების საუკეთესო პირობებში ჩააყენოს. მადლობის ღირსია აგრეთვე საზოგადოების მხრივ კოსტანტინე და ევგენ ზარნაძეები, რომელთაც სკოლას საჭირო რემონტი უყვეს და განსაკუთრებით კოსტანტინე ზარნაძე, რომელიც გულწრფელი მომხრეა, რომ თხილთაწყაროში სკოლის საქმე კარგად წავიდეს. მაგ. მან საშუალება მისცა სასკოლო სტოლების საგრნობელ იაფად გაკეთებით ბავშვებს დამჯდარიყვენ სწავლის დროს რიგიანად, ზეზე დგომის და იატაკზე ჯდომის მაგიერ. შკოლის მზრუნველად ამორჩეულია ქრისტესა ხაჭაპურიძე და ხალხის მხრიდგან სასკოლო საბჭოში იოსებ არაბიძე. საალმშენებლო კომიტეტის წევრებად და გამწერლებად ამორჩეული არიან: დათა ბუცხრიკიძე, ბესარიონ დიაკონიძე, პავლე ჯანაშია, იორდანე ბუცხრიკიძე, კოსტანტინე ხაჭაპურიძე, ისაკო ჯაბიძე და კოსტანტინე ზარნაძე. იმედია ეს არჩეული პირნი ხალხის ნდობას გაამართლებენ და არავითარ დაბრკოლებას არ დაერიღებიან, არ მიუგდებენ ყურს კერძო პირების ლაპარაკს და საზოგადო სასარგებლო საქმეს სასიქადულოთ დააბოლოებენ. რომ ამით თავის სახელიც უკვდავი ჰყონ, სანამ იქნება თხილთაწყაროს არა ერთი და ორი დგმა, რომელნიც მუდამ მოიხსენიებენ ოქროს ასოებით აღბეჭდილ სახელებს იმ ადამიანებისას, რომელთაც ასეთი ღვაწლი და შრომა დასდვეს ხალხის გასანათლებლად და სიბნელის მდგომარეობიდან გამოსაყვანად. პირველ საკითხად წამოყენებულია არსებული შენობის ორ ოთახად გადაკეთება. კარგი იქნება შენობის შეკეთების შემდეგ ბ. იოსებ არაბიძე და ქრისტესა ხაჭაპურიძე იზრუნებდენ სამკითხველოს გახსნაზე და საკვირაო სკოლის დაარსებაზე. ამით ბევრს, დუქანში ცუდად ლაპარაკის მაგიერ, მიეცემა საშვალება ბევრი რამ კარგი გაიგონოს გაზეთებიდგან და აგრეთვე, რადგან ბევრმა წერა-კითხვა არ იცის, წერა-კითხვასაც დაისწავლიან. ესეც სამადლო და სასახელო საქმეა. იმედია, ყურადღებას მიაქცევს ხალხიც და ამორჩეულ კაცებს მხარს დაუჭერს კეთილ განზრახვებში.

ნაპერწკალი.

წერილები რედაქციის მიმართ.

მაძღა რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაური საქმეების“, საშვალებით გამოვსთქვა ჩემი ეკლესიისა და მრევლის გაჭირვება. აგერ რამოდენიმე წელიწადი გადის მას შემდეგ, რაც რომ დაწყებულ იქმნა შენება ნატანების ეკლესიისა (გურიანთის საბლაღოჩინო ოზურგეთის მაზრა) და დიდის ვაი-ვაგლახით ველირსეთ მოსრულებას და ყოვლად უსამღვდელოესმა ლეონიდმა კიდეც გვიკურთხა ენკენისთვის 2-ს ამა 1912 წელს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ეკლესიაზე ირიცხება 20—25 კომლამდე ხალხი, რომლებიც დიდს გაჭირვებაში არიან ამა ეკლესიის აშენების გამო. თუმცა ეკლესია აშენებულია და წირვა-ლოცვაც რიგზეა, მაგრამ ეკლესიას აკლია: სამღვდელო შესამოსელი, კანკელი მოუსრულებელია, ხატები არ აქვს, რამოდენიმე საეკლესიო წიგნი არ არის, არა აქვს აგრეთვე დაფარნები, ჯვარ-საწერი გვირგვინები, და სხვ...

ერთი სიტყვით რაც გვაქვს დროებით ნათხოვარია მეზობელ ეკლესიებიდგან. ამისათვის ვთხოვთ ყველა პატივცემულ მამებს, და და დედებსთ, რითაც შეუძლიათ, აღმოგვიჩინონ დახმარება ამ წმიდა საქმეში.

პატივისცემით ნატანების წმიდის ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელი არონ დონდოლაძე

ჩვენ ძალიან გვაკვირვებს აქ აწერილი გარემოება: ოკ და ხუთმა მოსახლემ და ისიც გურიაში ტაძარი ააგო! ჰგავს ოლათ არ მომკვდარა სარწმუნოება ამ საარაკო კუთხეში. სა-

ჭიროა დავეხმაროთ ამ მცირე ოაზისს გურიის ურწმუნოების უდაბნოში.

რედ.

მამაო რედაქტორო.!

ჩემდამო რწმუნებული ლახუნდარის ეკლესიის მრევლი შესდგება ას ერთი კომლისგან. ამათგან ორმოც და თერთმეტი (51) კომლი არინ აზნაურნი და შთამამავლობითი საპატიო მოქალაქენი, ხოლო დანარჩენი ორმოც და ათი(50) კომლი გლეხნი. მოძრაობამდის ამ ეკლესიას ყავდა დ დარაჯი ეკლესიის მსახურიც გლეხთაგან, მაგრამ მოძრაობის შემდეგ გლეხებმა უარი განაცხადეს, თუ აზნაურნი და მოქალაქანი არ მიიღებენ მონაწილეობას, ჩვენ არ გავხდებით ვალდებული, რომ მათ საზიარო ეკლესიას მოუდგეთ და ვემსახუროთო. ამის შესახებ მივიქეცი ყოვლად სამღვდელოსადმი თხოვნით, რომელმაც ინება ჩემი თხოვნის გადაცემა ადგილობითი ბლაღოჩინზე რეზოლიუციით: „ბლაღოჩინმა დეკანოზმა ღამბაშიძემ ადგილობრივ გაარჩიოს საქმე და დააწესოს ყარაული.“ ეს იყო 23 მაისს 1909 წელს. ბლაღოჩინმა გამოგზანა, თანაშემწე მაგრამ მრევლი არ შეიკრიბა. შეადგინა ოქმი და გაუგზავნა ადგილობრივ ბოქოულს, რომელმაც მისწერა ადგილობით მამასახლისს: „უფალი ქუთაისის გუბერნატორის მოწერიობის ძალით პირველ დეკემბრიდან 1909 წლისა №8252 ქვეშე ყარაულის შენახვა სფლად სოაზოგადოა ამისათვის დაუყონებლივ დააწესე ყარაული საზოგადოებიდანო.“ მაგრამ ვერ დაითანხმეს გლეხნი და აზნაურნი, რომ ერთმანეთს მომხარებოდენ ყარაულის ქირაში. ეს საქმე გაუთავებლი დარჩა და ეკლესიას დღესაც არ ყავს დარაჯი. ამისათვის უმორჩილესათ გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „შინაურის საქმეების უმახლობელეს ნომერში განგვიმარტოთ: აზნაური და მოქალაქენი მოვალენი არიან თუ არა მონაწილეობა მიიღონ-გლეხებთან ერთად ეკლესიის დარაჯის და მსახურის შენახვაში

ლახუნდარის ეკლესიის მღვდელი ბორფირე კუიდაძე.

გლეხები ზნეობრივათ მართალი არიან. — საზიარო ყანას საზიარო დამუშავება უნდა, ეგრეთვე საზიარო ეკლესიასაც საზიაროთ უნდა დარაჯობა. გვაკვირვებს კეთილშობილთა ჯიუტობა. ნეტა რა ხარჯს მოითხოვს ეკლესის ერთი ღამის დარაჯის შენახვა? ძალიან რომ გავადიდოთ ბათმანი სიმინდი დაეხარჯება წელიწადში.

რედ.

მამაო რედაქტორო!

გთხოვთ გაზეთის „შინაური საქმეების“ უმახლობლეს ნუმერში მოათავსოთ ეს ჩემი საპასუხო წერილი.

„შინაური საქმეების“ 34 ნუმერში მოთავსებულია მასწავლებლის იონა გაბეხაძის საპასუხო წერილი ამავე გაზეთის 18—19 ნუმერში დასტამბული ბ. მოწაფის წერილზე ჩხარში გალობის დამახინჯების შესახებ. ჩემი მხრით, როგორც ადგილობითი მღვდელი და შკოლების გამგე, ორთავეს ვუპასუხებ შემდეგს:

მე ყოველი ღონე ვიხმარე, რომ ჩხარის შკოლებში და ეკლესიაში ქართული გალობის საქმე კარგად დამეყენებია და კიდევაც მოვახერხე—უვარგისი გამოვაცვლევინე და ქართული გალობის კარგათ მცოდნე მასწავლებელი დავანიშვნე. მაგრამ, სამწუხაროთ, დიდხანს არ შეარჩინეს ჩხარის შკოლას ეს მასწავლებელი. საეპარქიო საბჭოს დადგენილობით, იგი გადაყვანილ იქმნა ბაღდათის შკოლაში, რადგან, როგორც საბჭოს დადგენილებაში სწერია „ბაღდათის შკოლას გალობის კარგათ მცოდნე მასწავლებელი ესიჭიროება“.

ჩემი მხრით არც სიტყვა და არც კალამი არ დამიზოგავს, რათა გაუქმებიათ ეს შეუფერებელი დადგენილება; ან იგივე მასწავლებელი დაეტოვებიათ ჩხარის შკოლაში და ან სხვა საგნის მცოდნე, პირი გამოეგზავნათ. ვარწმუნებდი, თუ ბაღდათის შკოლას ესაჭიროება კარგი მასწავლებელი, ჩხარის შკოლასაც კარგი სჭირია-თქო. მაგრამ ამაოთ! რაც დასწერეს, აღარ წაშალეს და მით ერთ შკოლას დედობა გაუწიეს და მეორეს დედინაცვლობა.

აქ საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ მოხსენებულ დადგენილებაში არავითარი წილი

არ უდევსთ მეთვალყურეთ: ბ. ავერკიევს და მ. გველესიანს.

გადაყვანილი მასწავლებლის მაგივრათ გალობის მასწავლებელათ დანიშნეს ი. გაბეხაძე. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ იგი ძლიერ ნაკლები გალობის მასწავლებელი გამოდგა. ბ. გაბეხაძის გალობა არ შეეგუება ქართული გალობის არც ერთ კილოს. იგი არის უშნო უსიცოცხლო, მშრალი და წარმოადგენს ულაზათო ხმის გაგრძელებას და აწევ დაწევას. ეს ნაკლი მეთვალყურე მ. გველესიანმაც შენიშნა და თავის სარევიზიო წარწერაში კიდეც გააფრთხილა, რომ ნაკლი გაასწოროს. ურიგო არ იქნება, რომ ბ. გაბეხაძე შეეცდებოდეს ამ ნაკლის შევსებას, თორემ თავის თავის ქებით მარტო თავის თავს მოატყუებს და სხვას ვერავის.

რაც შეეხება ეკლესიაში რუსულ გალობას, ამაზე მოგახსენებთ შემდეგს: გაზეთში აღნიშნულ დროს, წირვის წინ ჩემთან საკურთხეველში შემოვიდა ბ. გაბეხაძე და მთხოვა. რაც მოწაფე ქალებმა ქართულათ არ იციან წირვის წესში, რუსულათ ვიგალობებო. მეც ნება დავრთე და რაც ქართულათ არ იცოდნენ, რუსულათ იგალობეს, როგორც ქალებმა, ისე სამინისტრო შკოლის მოწაფე ვაჟებმა.

რომ ეს ასე იყო, ამას ბ. გაბეხაძეც აღნიშნავს თავის საპასუხო წერილში, მაგრამ ძლიერ მიკვირს, რომ ამასთანავე ბ. გაბეხაძე იმავე წერილში ამბობს, ვითომც მთავრობა ავალებდეს მას რუსულ გალობას. ადგილობითი ეკლესიის უმახლობელესი უფროსი მე ვარ და თუ მთავრობა რაიმე ამგვარ განკარგულებას ინებებდა, უსათუოთ მე მომივიდოდა იგი, მაგრამ არც საეპარქიო მთავრობისაგან, არც საეპარქიო საბჭოსაგან და არც მეთვალყურეთაგან ამის მსგავსი არა მიმიღია, არც წერილობითი და არც სიტყვიერი. ამის შემდეგ კარგი იქნება, რომ ბ. გაბეხაძე გვიპასუხებდეს, რომელმა მთავრობამ უბრძანა მას ქართულ ეკლესიაში რუსული გალობა?

ყოველივე აქ დაწერილს შემდეგ შეიძლება კიდევ ვინმე შიშობდეს, რომ ჩხარი გადაგვარების გზაზე იყოს დამდგარი. თუ ამის შიში ვისმეს გაქვსთ მაშინ „ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი, ნუცა ეშინან!“ გრწმენინ რამეთუ ის იყო ის შემთხვევა, რაც გაზეთში დაიწერა და შემდეგ კი ჩხარის ეკლესიაში მოწაფე ქალების გალობა აღარ გვსმენია, მაგრამ მარტო რუსული კი არა, არამედ ქართული გალობაც აღარ გაგონილა. რატომ? მიტომ, რომ ბ. გაბეხბძემ კარგათ იგრძნო, თუ რა უკმაყოფილო დარჩა მლოცველი საზოგადოება მისი დამახინჯებული გალობით; კარგათ იგრძნო, რომ იგი თავის ადგილზე არ არის და დადუმება არჩია. რაზომ დამახინჯებულია ჩხარის შკოლაში გალობა, ყოველივე ეს ნათლათ დაინახა უკანასკნელი რევიზიის დროს მაზრის მეთვალყურე მ. იაკობ გველესიანმა და აღგვითქვა ამ ნაკლის ახლო მომავალში გამოკეთება, რითაც დიღაც ვნუგეშობთ და იმედიც გვაქვს, რომ სიტყვა საქმეთ იქცევა.

ბ. მოწაფეს საიდგანღაც გაუგია, ვითომც ბ. გაბეხაძეს მთავრობასთან დაბეზღებით დავეშინებიო. ქუჩაში აკრეფილი სიტყვების დაჯერებას, ბ. მოწაფეე ისა სჯობდა ჩემთვის გეკითხათ და მეც გიპასუხებდით, რომ ბ. გაბეხაძეს მე დაბეზღებით არ დავუბეზღებივარ. მაგრამ კიდეც რომ დავებეზღებაე, თუ რამე სიმართლეს იტყოდა, რაღას ვემართლებოდი და თუ დაბეზღებას ცრუ ფაქტებზედ ააშენებდა, მაშინ ხომ იცით, სიცრუეს მოკლე ფეხები აბია, შორს ვერ წავა კაცი სიცრუით, მალე დაიჭერენ და მერე მართალსაც აღარ დაუჯერებენ. ამნაირათ. ცრუ მაბეზღარა თავის თავს უფრო ავნებს, ვინემ სხვას.

მღვდელი იასონ აბესაძე.

მადლობის გამოცხადება.

ძაძაა რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემული გაზეთის „შინაური საქმეების“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქ. ქუთაისის მცხოვრებს ნინა პავლე გოჯასპირისძე ლორთქიფანიძის მეუღლას — ქვარიანის ასულს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა რწმუნებულ ჩემდამო სალხინოს სულის წმ. მოსვლის ეკლესიას შემდეგი ნივთები: ერთი ღვთისმშობლის ხატი, ერთი საზეთე კანდელი, მოქარგული ტრაპეზის გადასაფარებელი, სახარებისათვის აბრეშუმის პლატოკი და სახარების მოსაჭედად ორი მანეთი ფული. სულ ოცი მანეთის საღირალი.

სალხინის სულის წმ. მოსვლის ეკლესიის მღვდელი ტარასი ძიგრაშვილი.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჭავა.



იულიუს საარეკ

მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქუჩ. ნავთით

—×: განათებისა :×—

და

მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ქუთ. და ბათომის მასრისა ამ მშვენიერ ხანგძლივ ფარნებისა

იგა ი. ნ.

უფრთხილდით მიმსგავსებას

მისამართი ალექსანდრეს ქუჩა, თეოდორაძის სახლი. ტელეფონი № 18.

გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის

ყოველ-დღიურ პოლიტიკურ და ლიტერატურულ გაზეთ

წელიწადი მეოთხე **„სახალხო გაზეთზე“** წელიწადი მეოთხე

1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გაზეთის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვ ი რ ა ო ბ ი თ).

პრემიად 1913 წლის წლიური ხელის მომწერნი, ე. ი. ისეთები, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან, ან წინდაწინვე განაცხადებენ გაზეთის კანტორაში, რომ წლიური ხელისმომწერნი არიან, 1913 წლის განმავლობაში **მიიღებენ**

ორ წიგნს:

1) უცხოეთის მწერლები.

ამ წიგნში შევა სხვა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის გამოჩენილ მწერლებისა, ზომით იქნება არა ნაკლებ **400 გვერდისა** და წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ **იანვრის დასასრულს.**

2) ქართველი მწერლები.

ამ წიგნში შევა ქართველ მწერალთა სხვა და სხვა ნაწარმოებნი, როგორც პოეტური, ისე ბელეტრისტული, ზომით იქნება არა ნაკლებ **500 გვერდისა** და წლიურ ხელისმომწერთ **დაურიგდებათ ენკენისთვეში.**

გაზეთის ფასი როგორც თბილისში, ისე მის გარედ ღირს წელიწადში ისევ 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მან. 50 კ., ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის ფასი —:— ტფილისში და მის გარედ —:— საზღვარ გარედ

წლ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8 მ. 50 კ.	8 მ. —	7 მ. 50 კ.	6 მ. 75 კ.	6 მ. —	5 მ. 25 კ.	4 მ. 50 კ.	3 მ. 75 კ.	3 მ. —	2 მ. 25 კ.	1 მ. 50 კ.	— 75 კ
11 მ. 50 კ.	10 მ. 75 კ.	10 მ. —	9 მ. —	8 მ. —	7 მ. —	6 მ. —	5 მ. —	6 მ. —	3 მ. —	2 მ. —	1 მ. —

ცალკე ნომერი ყველგან შაური; დამატებიანი ნომერი შვიდი კაპიკი. ✖ ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარედ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 40 კაპ., დანარჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა.

იმ ხელისმომწერმა, რომელიც **ორივე პრემიის** მიღებას **ფოსტით** მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელისმოწერის ფასთან ერთად კიდევ **ათი შაური.** ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას. იმას ეს ფული არ გადახდება.

ხელის-მოწერის პირობები:

1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კ.) შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისთანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ., 1 ენკენისთვემდე 1 მ., 50 კ., 2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა გამართულია:

1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღია ია დილით 9—3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 დეკემბრიდან. კი ღია იქნება: დილის 9 ს.-დან საღ. 8 ს.-დე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღევის 3 ს. 2) ქ. შორის წერა-კითხვ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა.

3) ფოსტით. Тифлисъ, Груз. газ. „САХАЛХО ГАЗЕТИ“. поч. ящ. 190.

ჩვენი შკაფი.

(ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“)

ამ ჟამად **ძმობის შკაფში** ბ. ი. კვიცარიძის ჟურნალ-გაზეთების კანტორაში იმექონება შემდეგი სარწმუნოებრივ შინაარსის წიგნები და წიგნაკები:

1) მხედრული სახარება სამოკიქულოთი და დავითნით დიდი და პატარა ფორმატისა.
2) საგალობლები.
3) სიბრძნე ბალავარისა.
4) ცხოვრება წმ. საკვირველ-მოქმედისა ნიკოლოზისა.
5) ცხოვრება წმ. მცს. თეკლასი.
6) ცხოვრება ღირსისა მამისა ილარიონ ქართველისა.
7) — ღირსისა მამისა მაკარი ეგვიპტელისა.
8) — ღირსისა დედისა თეოდორასი.
9) — წმ. უვეცხლო მკურნალისა პანტელეიმონისა.
10) ცხოვრება დიდისა მოწამისა ევსტათისი.
11) წამება წმ. მიქელ ტრიმიდატელისა.
12) ცხოვრება შვიდთა ყრმათა ეფესელთა.
13) ხორციელად დაფლვა ქრისტესი და შთასვლა ჯოჯოხეთში.
14) ცხოვრება თედორე ჯვარ-მტვირთველისა.
15) — ისე წილვნელ ეპისკოპოსისა.
16) მანანა
17) ცხოვრება წმ. ევსელნისა.
18) ცოლქმრობა.
19) ფილოსოფოსი სოკრატი.
20) ცხოვრება წმ. მოწ. თეოდორე ტირონისა.
21) წამება წმ. მარინესი.
22) ცხოვრება წმ. იაკობ დაჭრილისა.
23) ცხოვრება ალექსი ღვთის კაცისა.
24) — თხზულება მაქსიმე აღმსარებელისა.
25) — ბრძნული სიტყვები.
26) — წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი.
27) წამება წმ. რაჟდენისა.
28) ოქროს წყარო.
29) რჩეული სიტყვები.
30) ცხოვრება წმ. მარიამ ეგვიპტელისა.
31) პარაკლისი დავით გარესჯელისა.
32) ცხოვრება წმ. მამისა დავით გარესჯელისა.
33) ფაბიოლა, ანუ უწინდელი ქრისტიანები.
34) ნოტების სახელმძღვანელო.
35) კარგი ყველგან კარგია.
36) ენის გაჩენა.
37) მესამე ოქრო.
38) ბუნება და ადამიანი.
39) ქრისტიანობა და დემოკრატია.
40) ერთი ღამე აკალდამაში.
41) ახალი აღთქმის საღვთო ისტორია.
42) გზა ცხოვრებისა.
43) კაიაფას ვაჟიშვილი.
44) პროფ. მაქს მიულლერის ახრი მატერიალიზმზე.
45) სარწმუნოება და მისი უარის მყოფელნი ჩვენში.
46) ქრისტე ღმერთია?
47) ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში.
48) წყარო ურწმუნოებისა.
49) მოკლე საეკლესიო ისტორია.
50) სამი მცნება.
51) მოხსენება პროფ. ცაგარელისა საქართ. ეკ. ავტოკეფალიის შესახებ.
52) აკაკი როგორც მგოსანი მამულიშვილი.
53) არა კაც კლა.
54) პატარა ქრისტიანი.
55) წმ. ნინოს დღეობა და მისი მნიშვნელობა.
56) ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე.
57) სიკვდილი მართლისა.
58) სინამდვილე სახარებისა და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა.
59) მოთხრობა შობისათვის უფლისა ჩვენისა ი. ქრისტესა.
60) მებაღე ფოკა.
61) პატარა ქრისტიანი ანუ საჭიროა თუ არა ეკლესიაში ვიარებოდეთ?
62) წამება წმიდისა მღმწ. ვლასისა.

ქ. ქუთაისი, სტამბა „ძმობა“ კაზაკოვის შესახვევი, სახლი № 17